# სახალხო გაზეთი

№ 464 ხუთშაბათი, 1 დეკემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 464

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. საგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ ხაფასის 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ხორავაძე"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და გ. მეტცელ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. ხიტროვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—პირეის მოედანი.

ზელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის" რედ ციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების რდ. დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი წერილ ჩერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მეთხრ ფბები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სასახლის ქ., დ. ზ. სარაჯიშვილის სახლი, მისაგალი ეზოდან

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо ...ети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



გულდამწვარი მშობლები—მღვდელი გრიგოლ ნიკოლოზის ძე კიკნაძე და მეუღლე მისი ანნა მატვეის ასული შეილებისთურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ, პირველნი—თავიანთ ერთად-ერთ საყვარელ ვაჟიშვილის, ხოლო მეორენი—ძვირფასის ძმის, პირველ გიმნაზიის მოწაფის

კოლა (ნიკოლოზის) კიკნაძისას.

პანაშვიდი დღის, საღამოს 6 საათზე. გამოსვენება დეკემბრის 2-ს, დილის 9 საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში ხოლო დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე, მლეთის შესახვევი, № 7. (1 962.1)

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი ტელეფ. № 795

ვასო აბაშიძის ბენეფისი

ხუთშაბათს, 1 ნოემბერს,

ვასო აბაშიძის ხელმძღვანელობით და ვლ. ალექსი მესხიშვილის მონაწილეობით, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

1) უდანაშაულოდ დამნაშავენი,

კომედია 4 მოქ. ოსტროვსკისა, თარგმანი ი. მაჩაბარიანისა.

2) ახალი ორიგინალური პიესა კრიტიკოსთან, ვოდევ. 1 მოქმედ. ტრ. რამიშვილისა.

მონაწილეობს მთელი დასი. ✦ დასაწყ. საღ. 8 ს. ადგილ. ფასი საბენეფისოა. ა ნ ო ნ ს ი: მზადდება: ლევანი ხამგრელთ მთავარი, მეფე ლირი, ჰენრი ნავარიელი, სირანოდე, ბერჟერაკ, ანტიგონა, იულიოს კეისარი.

ოჯერს ვლ. ალექსი-მესხიშვილი. ქართ. დრ. საზ. ადმინისტრაცია. (3.960.3)

ახალი კლუბი

შაბათს, 3 დეკემბერს 1911 წ. მეხუთე კონცერტი ს. ა. პრეხმანის ლოტბარობით და გამოჩენილ მესკრიპკე მ. ტ. ვ ა ხ ი ლ ე ვ ი ს მონაწილეობით. შესრულებულ იქნება ორკესტრისაგან: უვერტიურა ოპ. „მალა ბედისა"—ვერდისა. სერენადა 3 ფოლკმანისა. სოლო ვიოლონჩელზე შესრულებს ბ. ც ე დ მ ლ ე რ ი. ინტერმეცო ოპ. „სოფლის პატიოსნება"—მასკანისა, ტორეადორ ანდალუზკა რუბინშტეინისა. ცეკვა ბალ „კოპელია"—დელიბისა. ყირიმის ესკიზები ა სპენდიაროვისა, აივაზოვსკის სახსოვრად დაწერილი. დიდი ფანტაზია „ოტელლო". ორკესტრთან შეასრულებს მ. ტ. ვ ა ხ ი ლ ე ვ ი. სიკვდილი აზასი. ცეკვა ანიტრისა—გრიგისა. ლეკური ოპ. „დალაქი" იპოლიტოვ-ივანოვისა.

დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე.

გალერეიაში შესვლა ყველას შეუძლიან და კლუბში შესასვლელ ფასს არ იხდის. ფასები გალერეიაში 40 კ. 10 კ.—მდე. ფასები თეატრში 1 მ. 20 კ.—მდე. სტუმრები იხდიან: კაცი 50 კ., ქალი და სტუდენ. 25 კ. კონცერტის შემდეგ ლ ო ტ ო. ა ნ ო ნ ს ი: სამშაბათს, 6 დეკემბერს, 1911 წ., სალიტერატურო-სამუსიკო საღამო. (3—1608—1)

ავჭალის აუდიტორია

შაბათს, 3 დეკემბერს,

ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი სცენის ნატალია გაბუნია-ცაგარლის გარდაცვალების წლის თავზე მართავს სახალხო წარმოდგენას. წარმოდგენ. იქნება

ხ ა ნ უ მ ა, კომედია 4 მოქ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ბეჟანიშვილი, შარანელი, ნარაკიძე, აფხაზიშვილი, ბ-ნნი ჯაბაური, ძნელაძვილი, ლადო, მესხეთელი, ანაშვილი და სხვანი.

რეჟისორი კ. ყიფიანი. მორიგი წევრნი: ს. რამიშვილი, ა. რაქვიაშვილი.

დასაწყ. საღ. 8 ს. (3—1382—1)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღის ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ.—1147—186

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

წამლობა ძლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა ტ უ ბ ე რ კ უ ლ ი ნ ი.

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, N 10. ტელეფ. 792. (თ 100—1534—37)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებული და სტაციონალური განყოფილება მოწყობილი 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები შემდეგ დროს:

ექიმი-ქალი ვერხაცკაია-ფირალოვისა დ. ე.—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.

ზედგინიძე-შვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., ხუთშაბ., 10½—11 ს.

ბაქრაძე რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ოთხშაბ. 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და ... 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი, ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვა გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ.,

შარვაშიძე მ. ი.—კანისა და ვენერ ყოველ დღე, 1—1½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დაკეც. ყოველ დღე 10—12 ს.

მაჭავარიანი შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

არემსონოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

სიხარულიძე გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხუნდაძე ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

თიკანაძე ი. ე.—ქალის სს. და სამშობიარ., ყოველ დღე 1—2 ს.

ფედოროვი ე. გ.—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე გარდა, კვირისა და ოთხშაბათისა 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606"-ით (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია კონსულტაცია, ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (წ. 1089 621)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარდან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გამზარძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

... ნ. ... —ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ს. ა. ...—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

შ. ა. მაჭავარიძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

... და კონსილიუმი მოდ... .

წამლობა „606"-ით.

(წ. 1090 -225)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ა. მ. ახმახოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ბოჟკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1

მონსი—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

კალმიკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლონსკიოვი—შინაგ. ავად. ყოველ დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თოთიბაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ა. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირაუქმისა 11½—12½ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვახილოვ-ზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბა., ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ყაშმაშარიოვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის. შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (თ.—1526 —26)

ექიმი კბილისა იოსებ ზაქარიას ძე კანდელაკი

მიიღებს დილით 9-დან 2-მდის და საღ. 4-დან 7-მდის. ხწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხავს ხელოვნურ კბილებს. ტფილისი, მიხაილოვის პროსპექტი, N 7. (50—1552—17)

დოქტორი მედიცინისა

ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადედაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, მელოგინეებს, სადედაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის. კ ი რ ო ჩ ნ ი ს ქ. სახ. N 18, თავ. ვაჩნაძისა, ფდირცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. (თ.—1591—55)

ექიმი ს. დიდიძის მაგივრად მის კაბინეტში იღებულობს ავადმყოფებს ექიმი გ. ლოლობერიძე

ყოველ-დღე საღამოობით 6—8 ს. გლისაბეთის ქუჩა N 92, ტელეფ. N 1141. წამლობა ფოსფატიდით და ატოქსილ კაკოდილატით. (25—1593—11)

ექიმი ნ. ტ. მ უ ლ ი ე ი ყელისა, ცხვირისა და ყურის ავადმყოფების მიღება დილის 12—1 საათამდე საღამოს 6—8-მდე. სერგეევის ქ. 8. (თ.—1545—37)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს. მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. N 5.

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოროთანოვის ქ., N 20. (წ.—1249—68

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 საათ. და საღ. 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., N 12. სახლი მდივნისა.

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის

ექიმი ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბაქოს ქუჩა N 17. (—47)

ექიმი ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი ბ. ნ. მამაკიანი შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფ. სპეციალური ავადმყ., კუჭისა და წელვებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.), და 5—7 ს. (სხვათ.). მიხეილის პროსპექ. N 86, ტელეფონი 322. 25—1442—85

ექიმი ე. ი. მინასიანცი შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკოდან. იღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.

გლისაბეთის ქუჩა, N 39, ტელეფონი N 1667. (100—1117—61)

ექიმი პ. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი შინაგან და ბავშვებ ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები).

ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, N 3, დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.199.27)

ექიმი ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—... ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავად. მყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N ... სახლი გაბაშვილისა.

პარიზში სპეციალურად ფრანგულ ენის კურს-დამთავრებული ქართველი ქალი (დიპლომით),

ფრანგულ ენის გაკვეთილებს აძლევს.

ხელმისაწვდომ ფასად. სასურველია რომელიმე ოჯახში იშოვოს გაკვეთილები, ოთახისა და სრულს ხარჯის სანაცვლოდ. თანახმაა ფრანგულ ენის გაკვეთილები აძლიოს, თუ სამაგიეროდ ნემეცურს ასწავლიან. მისამართი: ტფილისი, მოსკოვის ქუჩა, №4. იკითხეთ ქ-ნ შირსკისთან. (5.1609.2)

ფილებ საეკლესიო სამხატვრო საქმეებს. მსურველთ შეუძლიანთ მომმართონ სოფ. პრიუტში, მანგლისის გზ. ტფილისის მაზრა, მხატვარი მღვდელი მელიტონ ყანჩაველი. (23—958—4)

იყიდება

მეორე თუმანოვის ქუჩაზე ქვითკირით აშენებული 1904 წელს

სამ სართულიანი სახლი,

სარდაფით და ეზოთი. ბანკის ვალი 7500 მანეთია. დაწვრილებით ცნობებისთვის მიჰმართეთ: თუმანოვის ქუჩაზე, სახლი № 14, ხოფერი ი. მღებრიშვილისას, დილის 9—12 საათზე, საღამოს 5—7 საათზე. (5—1607—4)


## ტფილისი, 1 დეკემბერი

**რუსული და პოლონური ნაციონალიზმი.** ყველას ძალიან კარგად მოეხსენება, თუ რას წარმოადგენს რუსული ნაციონალიზმი. იმ აზრებს, რომლებსაც თეორიულად გამოსთქვამდა რუსეთის ნაციონალისტური პრესა, პრაქტიკულად ანხორციელებდა სახელმწიფო სათათბირო. სათათბიროში გაბატონებულ ნაციონალისტთა თვალ-საზრისით, თვითოეული ერი ვალდებულია თავისი ნაციონალური ინტერესები, რაც უნდა მშვიდობიანი ხასიათისა იყოს იგი, რუსთა ინტერესებს დაუქვემდებაროს, იმათთვის, ვინც ამ უკიდურეს ნაციონალისტურს ნიადაგზე სდგას, რუსეთში მოსახლე ერები სახელმწიფოს თანასწორ-უფლებიანი წევრები კი არ არიან, არამედ მეორე-ხარისხოვანი მოქალაქენი, რომელნიც ვალდებულნი არიან საკუთარი ინტერესები დაივიწყონ. წვრილ ერთა სურვილი ეროვნულ ინდივიდუალობის დაცვისა ამ ნაციონალისტურ წრეებში სახელმწიფოს ღალატად არის მიჩნეული. ასეთია თვალსაზრისი რუსეთის ნაციონალისტებისა, რომელნიც არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, რომ ეს ნაციონალისტური შეხედულებანი ცხოვრებაში გაატარონ და რაც შეიძლება შეზღუდონ წვრილ ერთა უფლებანი. მხოლოდ სათათბიროს მცირე რიცხოვანი ოპოზიცია სდგას სახელმწიფოებრივ პრინციპის ნიადაგზე და ამბობს, რომ ეროვნულ-კულტურული განვითარება პატარა ერებისა რუსეთის სახელმწიფოსათვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენს და არც შეუძლიან ყველა პატარა ერები გაბატონებულ ერის ყმებად დავსახოთ. ოპოზიციის აზრი, რუსეთის სახელმწიფოს წინაშე ყველა ერის წარმომადგენელი თანასწორია. ყველა ვალდებულია გაინაწილოს სახელმწიფო მოვალეობანი და ამასთანავე ერთად მიიღოს გაბატონებულ ერთან ერთად უფლებანი. როგორც ნაციონალისტთა წრეებში, ისე ოპოზიციაში ამ საკითხის შესახებ ტრადიცია არსებობს; მაგრამ საერთოდ კი იბრძვის ეს ორი ძირითადი პრინციპი.

თვით პატარა ერთა წარმომადგენელნიც ბუნებრივად მეორე პრინციპს ესარჩლებოდნენ. მაგრამ ამ უკანასკნელ დღეებში პოლონელთა წრეებში ფრიად საყურადღებო და დამახასიათებელმა ტენდენციამ იჩინა თავი. „ხოლმშჩინა"-ს გამოყოფვა რუსის ნაციონალისტების პროგრამის ქვა-კუთხედია. პოლონელები, რასაკვირველია, წინაამდეგნი იყვნენ ამ გამოყოფვისა. ამასთანავე ერთად განზრახულია საქალაქო თვით-მმართველობათა შემოღება პოლონეთში.

როდესაც ეს საკითხი ირჩეოდა, პოლონელთა დეპუტატმა განაცხადა, პოლონელთა „კოლო" მომხრეა იმისა, რომ ებრაელთა უფლებანი ამ თვითმმართველობაში შეზღუდული იყოსო. ეს ისეთივე თვალსაზრისია, რანაირსაც ადგას დღეს მთელი ლაშქარი რუსეთის ნაციონალისტებისა. პოლონელთა წარმომადგენლებს, რომელნიც რუსეთის საზოგადოებისაგან მოითხოვენ პატივისცემას პოლონელთა უფლებისადმი, საჭიროდ არ მიაჩნიათ დაცულ იქმნას ელემენტარული უფლებანი სხვა ეროვნებისა, ამ ჟამად ებრაელებისა. პოლონელ დეპუტატის იარონსკის სიტყვაში ნათლად გამოისახა ნაციონალისტური შეხედულება პოლონელთა შოვინისტურ წრეებისა. მათთვის, როგორც რუს შოვინისტებისთვის, პოლონეთში არსებობს მხოლოდ პოლონელი, რომლის ინტერესებსაც უნდა ემსახურებოდეს პოლონეთში ყველა მოსახლე ერი. ეს იგივე რუსული „სახელმწიფოებრივი ნაციონალიზმია" პოლონეთის ნიადაგზე გადარგული.

ამიტომ გასაკვირველიც არ არის, რომ პროგრესიული ნაწილი რუსეთის საზოგადოებისა მტრულად დახვდა პოლონელთა ასეთს ტენდენციას მაშინ, როდესაც მემარჯვენე დეპუტატებს სიამოვნების ღიმილი უთამაშებდა ტუჩებზე.

# ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **საქალაქო არჩევნები.** ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა გუბერნატორს დასამტკიცებლად წარუდგინა პირველ, მეორე და მესამე საარჩევნო უბნებში არჩეულ ხმოსნებისა და მათ კანდიდატების სია.

— 27 ნოემბერს გაშავებულ სახმოსნო კანდიდატებს უფლება აქვთ იმავე უბნებში დამატებით არჩევნების დროს ყუთები დაიდგან ხმოსნის კანდიდატობაზე, სხვა უბნებში უფლება აქვთ, ხმოსნობაზედაც დაიდგან ყუთი, თუ, რასაკვირველია, შესაფერი ცენზი აქვთ, გარდა საბინაო ცენზისა.

— მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე საარჩევნო უბნებში საარჩევნო კრებები 4 დეკემბერს დილის 10 საათზე დაიწყება და საღამოს 6 საათზე დასრულდება. პირველ და მესამე საარჩევნო უბნებში დამატებითი არჩევნები დილის 10 საათზე დაიწყება და ნაშუადღევის 3 საათზე დასრულდება.

✦ **ქალაქის სამჭოს 19 სხვა და სხვა კომისიის მოქმედების ანგარიში** უკვე შედგენილ იქმნა და მოკლე ხანში დაიბეჭდება.

✦ **გენერალ ვ. ა. პოტტოს გარდაცვალება.** 29 ნოემბერს, გათენებისას, ტფილისში გარდაიცვალა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის საისტორიო განყოფილების უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ვასილ ალექსანდრეს ძე პოტტო. ამავ დღეს, საღამოს 7 საათზე, განსვენებულის ბინაზე გადახდილ იქმნა პანაშვიდი, რომელსაც, სხვათა შორის, კავკასიის ნამესტნიკიც დაესწრო. განსვენებულის დაკრძალვა დღეს მოხდება ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძრის გალავანში.

✦ **საქველმოქმედო საღამო.** 14 დეკემბერს, სახაზინო თეატრში საქველმოქმედო საღამო გაიმართება ტფ. დედათა საეპარქიო სასწავლებლის სასარგებლოდ. საღამოს გამართვას კისრულობს სასწავლებლის მეთვალყურე კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედაც არის ნამესტნიკის მეუღლე ე. ა. ვორონცოვა-დაშკოვისა.

✦ **დღესასწაული სასულიერო სემინარიაში.** გუშინ, ანდრია პირველ წოდებულის დღეს, სასულიერო სემინარიის ეკლესიის დღესასწაული იყო. ეკლესიაში მწირველი ბაქოს ეპისკოპოსი პიმენი იყო. გუშინ საღამოს სემინარიის სადგომში წლიური აქტიც იქმნა გადახდილი.

✦ **ხორცის ნიხრი.** ქალაქის საბჭომ დაადგინა, ხორცის ნიხრს მოუმატოს. გირვანქა ძროხის ხორცი 11 კაპეიკად უნდა გაიყიდოს, ნაცვლად 10½ კაპეიკასა, ახალი ნიხრი დასამტკიცებლად გუბერნატორს წარედგინა.

✦ 29 ნოემბერს ტფილისში 10 უპასპორტო შეიპყრეს.

✦ უგზოდ დაიკარგა მამადავითის ქუჩაზე მცხოვრები ივანე ბიგომიძე, 25 წლის.

✦ 29 ნოემბერს საბურთალოზე იპოვეს უცნობი კაცი, რომელიც მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს და იქ გარდაიცვალა. როგორც გამოირკვა, იგი ყოფილა ტფილისის მცხოვრები ადამ ჯაფარიძე.

✦ 23 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, მიხეილისა და სემენოვის ქუჩების კუთხეში ტრამვაის ვაგონი № 5 ეტლს № 24 დაეჯახა და დაამტვრია. მეეტლე თომა ალექსიძე უვნებელი გადარჩა.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **კავკასიის მეხილეთა საზოგადოების კრება** ხვალ, საღამოს 7. ნახევარ საათზე მოხდება მიწათ მოქმედებისა და მიწად მოწყობის სამმართველოს მთავარ რწმუნებულის კანცელარიაში. კრებას, სხვათა შორის, მსჯელობა ექნება ხილეულობის მეორე გამოფენა-იარმუკის გამართვისა და მეხილეობის მოღვაწეთა კრების მოწვევის თაობაზე.

◆ **კავკასიის მოხუც და დასაქმებულ სამხედრო პირთა დამხმარებელ საზოგადოების** კრება, რომელიც 30 ნოემბრისთვის იყო დანიშნული, 2 დეკემბრისთვის გადაიდო. კრება დანიშნულია „ტფ. კრუჟოკში" დილის ათ საათისთვის.

◆ **სახლის დამქირავებელთა საზოგადოების** დამაარსებელთა კრების მიერ არჩეული საგანგებო კომისიას კრება ექმნება 7 დეკემბერს ქალაქის გამგეობის სადგომში. კრებამ საზოგადოების წესდება უნდა შეიმუშავოს.

◆ **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების** მთავარ გამგეობის მორიგი კრება დღეს მოხდება.

## სასამართლო.

◆ **„წითელი ოთახის"** საქმის გარჩევა 5 დეკემბრისთვის არის დანიშნული ტფ. ოლქის სასამართლოში. ამ საქმის გამო სამართალში მიცემულია ჟურნალისტი ლევან ყიფიანი, რომელმაც „ლისტოკ-კავკაიკაში" რამდენიმე წერილი დაბეჭდა „წითელი ოთახის" შესახებ.

## ქუთაისი

◆ პირველ ნოემბრიდან გაანწესეს სასამართლოს ბოქაულებათ: ქუთაისში—პლატონ უგრეხელიძე, რაჟდენ მიქაბერიძე; ზუგდიდში—ალ. ბოჭორიშვილი, ოჩემჩირეში—ნიკოლოზ მდივანი.

◆ სოფ. ეკში (სენ. მაზ.) გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, სადაც ყოველგვარი ოპერაცია, ფულის გადაგზავნის გარდა, ხდება.

◆ ალ. იმედაშვილის ბენეფისზე 482 მანეთი შემოსავალი იყო.

◆ 1910 წლის 6 ივნისის კანონის ძალით ქალაქის უძრავ მამულებს ადევს სახელმწიფო გადასახადი 6 პროც., როგორც გავიგეთ 5 ნოემბერს სახელმწიფო სათათბიროს 65 წევრს განცხადება შეუტანია სახელმწიფო სათათბიროში, რომ გადასახადი 1912—1913 წლებისთვის შემცირებული იქნეს 4 პროც.-მდე.

◆ ქალაქის გამგეობას წარუდგენია გუბერნატორისათვის თავის მოსაზრება, ქუთაისში ქუჩების განათების საქმის უკეთ მოწყობის თაობაზე. იმის მიზეზით, რომ ღამობით ფარნები ხშირათ ქრება, ქალაქის გამგეობა ასახელებს მეფარნეების დაუდევრობას, და ბოროტ-მოქმედებას, რომლის წინააღმდეგ ბრძოლამ ჯერ-ჯერობით სასურველი ნაყოფი ვერ მოიტანა, ქალაქის გამგეობა ამ ბოროტმოქმედების ასალაგმავათ შემდეგ ზომის მიღებას აპირებს: ა) 1912 წლიდან თვითეულ მეფარნეს მოემატოს ჯამაგირი 3 მ. თვეში, მხოლოდ იმ პირობით კი რომ შემოღებული იქნეს ჯარიმები ფარნების მოუვლელობისთვის და ბოროტ-მოქმედებისათვის იმ შემთხვევაში, თუ დანაშაულს სამგზის შეამჩნევენ, მუშა დათხოვნილი იქნეს სამსახურიდან; ბ) ვისაც ნავთის მოპარვას შეამჩნევენ დაითხოვენ და სამართალშიაც მისცემენ; გ) იმ მეფარნეებს, რომელნიც რიგიანად მოუვლიან ფარნებს და ხარჯებს შეამცირებენ, მიეცემათ ჯილდო.

◆ ქალაქის გამგეობას მოსვლია კანონ-პროექტი, რომელიც უნდა განეხილათ სახელმწიფო სათათბიროში იმის თაობაზე, რომ ერობისა და ქალაქების ზოგიერთი ხარჯი ხაზინამ იკისროს, რომ ხაზინამ ერობის ხარჯების გაღებაში მონაწილეობა მიიღოს, ერობათა და ქალაქებს გადასცეს ზოგიერთი სახაზინო გადასახადების ნაწილი.

◆ რუას პირათ, ფერმის ქუჩისა და არქიელის გორის მცხოვრებნი, 104 ოჯახი სთხოვს ქალაქის გამგეობას, რადგან ახლანდელი სასაფლაო „ქომას თავი" ვერსნახევრით მოშორებულია ჩვენზე, ზამთარში ძნელია მიცვალებულის იქ გატანა, ამიტომ ნება მოგვეცით ახალი სასაფლაო, „სატურიაზე" მოვაწყოთ, სადაც ქცევა ნახევარი ადგილი გვაქვს შეძენილიო. „კოლხიდა".

## სოხუმი

◆ **ქალაქის გამგეობა** შეეკითხა აზოვ-დონის ბანკის სოხუმის განყოფილებას,—შეუძლიან თუ არა ქალაქის გამგეობას ამ ბანკიდან აიღოს სესხად 53,000 მანეთი დამატებით წყალ-სადენ მილების გასაკეთებლად, და სარგებელი აიღოს არა უმეტეს რვა პროცენტისა. ვალი განაღდება ქალაქის მაწების ერთ სათავადო მამულო ბანკში დაგირავების შემდეგ მოხდება. ასეთივე შეკითხვით მიმართა ქალაქის გამგეობამ სოხუმის გამსესხებელ საზოგადოებასა და სახელმწიფო ბანკის სოხუმის განყოფილებას.

◆ 23 ნოემბერს ღ. გუდაუთაში **შეიპყრეს** სპირიდონ ხვიჩია, რომელსაც მძარცველობასა და ბოროტმოქმედებას აბრალებენ. ხვიჩია დროებით სოხუმის ქალაქის საპყრობილეში მოათავსეს.

## ხონი

◆ ორშაბათს, 21 გიორგობისთვეს, ადგ ლობრივ თეატრში წაკითხულ იქმნა რუსულ ენაზე **ლექცია**: „სიყვარული და ქორწინება", ხალხი ცოტა დაესწრო.

◆ 7 ამ თვეს ყველა ადგილობრივ სკოლებში გამართულ იქმნა ლომონოსოვის პატივსაცემლად **სალიტერატურო დილა**.

◆ ხონის სავაჟო პროგიმნაზიაში 6 ქრისტეშობისთვეს გამართულ იქმნება **სალიტერატურო სამუსიკო საღამო** ამავე სკოლის ბიბლიოთეკის სასარგებლოდ.

◆ ამ ახლო ხანში ხონში გაიმართება სალიტერატურო **გასამართლება**. გაასამართლებენ „ქრისტინეს".

## ბათომი

◆ როგორც გავიგეთ, ქ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების გამგეობა მომავალ კვირას ქართული სკოლის სასარგებლოდ ჰმართავს **სალიტერატურო გასამართლებას**. გაასამართლებენ სუმბათაშვილის ცნობილ პიესის „ღალატის" გმირებს: ზეინაბს და ოთარ ბეგს. მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი იურკევიჩი (ზეინაბი) ბ. გიორგაძე—(ბრალმდებელი) ბ. კიტა აბაშიძე (დამცველი) და სხვები. „ბათ. გაზეთი".

## პროვინცია

◆ **იგუეთი** (დუშეთის მაზრა). მამულის გაყოფის დროს გიგო ბაშარულმა დასჭრა ძმები ლექსო და ვასილი. უკანასკნელი ჩქარა გარდაიცვალა.

# სასამართლო

**დიმიტრი ჯაშისა, მაქსიმე ლომჯარიასა და ენიკოლოფოვის საქმე.**

28 და 29 ნოემბერს ტფ. ოლქის სასამართლომ გაარჩია დ. ჯაშისა და მ. ლომჯარიას საქმე. საბრალმდებლო ოქმი შემდეგს გადმოგვცემს:

მიმდინარე წლის 24 ივნისს დამცველ განყოფილების აგენტებმა და პოლიციელმა ქალაქის მერვე საპოლიციო უბანში, ნეკრასოვის ქუჩაზე „ნიკოლაევის ნომრები" გაჩხრიკეს, სადაც საგენტო ცნობებით ყუმბარები და დინამიტი უნდა ყოფილიყო.

ჩხრეკის დროს, ოთახის მე-12 №-ის ფეჩში, სხვათა შორის, ოთხი გაუტენავი ყუმბარა და ხელმოუწერავი ბარათი იპოვეს. ბარათი კარანდაშით იყო დაწერილი, უსწავლელ კაცის ხელსა ჰგავდა და ავტორი ვინმე ნიკოლოზ ბეჟანოვს ატყობინებდა; ოთხი „მოდელი" მოვამზადე და ახლა საჭიროა დინამიტის მომზადება ნაჩვენებ რეცეპტითაო.

ხსენებული ოთახი წინა ღამით დაჭერილი ჰქონდა თერგის ოლქიდან მოსულს გევორქ ტერ-სიმონიანცს, ხოლო მანამდე მაქსიმე ლომჯარიასა. რომელიც იქ 10 დღეს იდგა და შემდეგ ნომრების მეპატრონემ ენიკოლოფოვმა დაითხოვა, რადგან იგი საეჭვო პირად მიაჩნდა.

ენიკოლოფოვს ჩვენება ჩამოართვეს, რომელმაც სთქვა, ყუმბარები და ბარათი ან ტერ-სიმონიანცისა იქნება, ან ლომჯარიასი, ან ჯაშმა საგანგებოდ მოიტანეს, რადგანაც ჩემთან პირადი მტრობა აქვთო. ჯაშის მცირე წლოვან ივანე კაპლანაძის მეურვეობა ჩამოვართვი, მისი ბალაგი მე დავაჭირე და ამას გარდა მას უარი ვუთხარი ჩემთან კომპანიონობაზე ნომრების შესანახადო.

ამის გამო ლომჯარია და ჯაში შეიპყრეს. უკანასკნელს ორი ქაღალდი უპოვეს, სადაც დაწერილი იყო რეცეპტი ყუმბარის მოსამზადებლად. ამ ბარათების ხელი ნომრებში ნაპოვნ ბარათის ხელსა ჰგავდა.

სასამართლოში ჯაშმა განაცხადა, ჩემთან ნაპოვნი ბარათები დამცველ განყოფილებაში დავწერე განყოფილების უფროსის გადმოცემით, როდესაც ჩვენების მისაცემად ვიყავი იქაო. უფროსმა, სხვათა შორის, ნომრებში ნაპოვნ ბარათების შინაარსიც წამიკითხაო. ცნობები მინდოდა გაზეთში გასაგზავნადაო.

სასამართლოში 20 მოწმე და 4 ექსპერტი იყო დაბარებული.

ექსპერტებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ ჯაშთან ნაპოვნი ბარათები და ფეჩში აღმოჩენილი წერილები ჯაშის დაწერილი უნდა იყოს, მაგრამ გადაჭრით კი ვერა სთქვეს-რა.

სასამართლომ ლომჯარია უდანაშაულოდ იცნო და სრულიად გაამართლა.

დიმიტრი ჯაში დამნაშავედ იცნო ასაფეთქებელ ნივთიერებათა დამზადება-შენახვაში და უსაფუძვლო დაბეზღებაში და ამისათვის ყოველგვარ უფლების ახდა და სამის წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა მიუსაჯა.

# ჩინეთის რევოლუცია

## დეპეშები

**29 ნოემბერი.**

**შანხაი.** ამბობენ, შანღუნს მთავრობის ჯარი გროვდება და გენერალ ჩჟანის მეთაურობით ნანკინის უკან დაბრუნება ჰსურსო. ჩეენციანის პროვინციის სამხედრო საჭიროებისთვის 12 მილიონ მანეთის სესხად აღება განუზრახავს. გირაოდ შანხაი—ხანჩჟოუს რკინის გზას მისცემენ. მოლაპარაკება უკვე გამართეს შანხაიში არსებულ ამერიკელთა ბანკთან. არა გვგონია, სურვილი დაიკმაყოფილონ. რამდენიმე ჩინელი დააპატიმრეს და ჯაშუშობას სწამებენ.

**კუანჩენზი.** ლუერპუში დამალულ მეამბოხეთ, მუკდენიდან გაწვრთნილ ჯარის მოსვლის შემდეგ უბრძოლველად მიატოვეს საფარი და უკან დაიხიეს.

**ტოკიო.** მთავრობამ გამოაცხადა, იანცზიანის დაშრობის გამო დამატებით რაზმს ხანკოუსა ვგზავნი, როგორც სხვა სახელმწიფოებში მოიქცნენო.

**პეკინი.** რევოლუციონერებმა მთავრობასთან მოსალაპარაკებლად ლიუანქუნი აირჩიეს. ამაღამ პეკინს ხანკოუდან რუსის ჯარის დამცველი როტა უნდა მოვიდეს. მას თან ახლავს ხუთი აფიცერი. როტას თან მოაქვს ორი ზარბაზანი და ორი მსწრაფლ-მსროლელი.

## გაზეთებიდან.

გაზეთი „რეჩი" სწერს: „ნანკინის აღების შემდეგ თვალსაჩინო ამბავი რეგენტის, ბატონიშვილ ჩუნის-გადადგომაა. მის მაგივრად ჯერ არავინ დაუნიშნავთ და ყველაფერს მინისტრთა საბჭო განაგებს. ყოველთვის, როცა იმპერატორის საჯაროდ გამოსვლა იქნება საჭირო, თან ქვრივი დედოფალი უნდა ახლდეს. მცირეწლოვანობის გამო იმპერატორს ორი აპეკუნი დაუნიშნეს. აპეკუნად ბატონიშვილნი კი არ დაუნიშნავთ, არამედ უმაღლეს ბიუროკრატიის წარმომადგენელნი, რომელთაც განსვენებულ იმპერატორ გუანსის დროს დიდი თანამდებობა ჰქონდათ ჩაბარებული და იუანშიკაისთანაც დაახლოვებულნი იყვნენ.

რეგენტის გადაყენება იუანშიკაის ახალი გამარჯვებაა. ამის შემდეგ ზომიერნი მთელ ძალ ღონეს ზავის და მშვიდობიანობის ჩამოგდებას მოანდომებენ, ვინაიდან მათი მოთხოვნილება თითქმის ასრულებულია და თანაც ჰხედავენ, რომ სარევოლუციო მოძრაობა ჩინეთს დანაწილებასა და მონგოლეთის ჩამოცლას ემუქრება.

**იაპონიის აზრი.**

იაპონელთა პრესა ძალიანა ჯავრობს და თანაც ჰგმობს იუანშიკაის, რევოლუციონერებთან მოლაპარაკების გამართვაში შუამავლობა რუსეთს რათა სთხოვაო. ტოკიოს რადიკალთა პრესა ამბობს. რადა მოლაპარაკება და გაწა-მაწიას კამართვა გინდათ, რევოლუციონერები უეჭველად გაიმარჯვებენო. ამას ინგლისელთა გაზეთებიც ადასტურებენ. ხმა გავრცელდა, ვითომც რევოლუციონერებში უთანხმოებაა. ეს ხმები იუანშიკაისაგანაა გავრცელებული, ვინაიდან ჰსურს სესხის აღების საქმე გაიადვილოს.

# მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის

## „ცისკარი და საქართველოს მოამბე".

## (1852—1863 წ.)

(შემდეგი*)

3.

მოლაყბის ლაყბობა, თანდათან, სატირად ხდება. ყველაფერს დასცინის, გარდა ერთად-ერთ სთაყვანებელ საგნისა—უმაღლესი მთავრობისა. მას უკმევს გუნდრუკს, დანარჩენს კი არაფერს ერიდება. მისი, ასე ვსთქვათ, მონარქიული ხალხოსნობა გულუბრყვილოა, მაგრამ გულწრფელი. ხოლო მისი დევნა საზოგადოებრივ ბოროტებისა, გაკიცხვა დიდკაცთა უგვანობისა, მისი მხურვალე ეროვნული გრძნობა და მუდმივი ჩიჩინი იმის გამო, რომ ჩვენს საზოგადოებას დიდი განსაცდელი მოელის ეროვნულ ფიზიონომიის დაკარგვისა გამო—ყოველივე ეს სერიოზული მოტივებია „სალაყბოს ფურცლის" პუბლიცისტიკისა. და ამ სერიოზულ მოტივებს უნდა მივუმატოთ ისიც, რომ ბუნებრივად, საზოგადოებრივ ბოროტების გაკიცხვის დროს იგი ბატონ-ყმობის საკითხსაც მიადგა. მაგრამ ნუ ავჩქარდებით და ისევ მოლაყბე ვალაპარაკოთ და მას ვაძებნინოთ საზოგადოებრივ აზროვნების განვითარების გზა.

„წარსულს კვირეს, ამბობს ჩვენი ავტორი, მრთელი ტფილისი მოვიარე... და ერთი ნამდვილი ქართველი ვერ ვიპოვნე. ეს როგორც სჩანს, ეზოპსავით მომივიდა, როდესაც რომ ის, წარჩინებული ზღაპარი მწერალი, ხელდაკლდა რა ოთხკუთხივ თავის ქვეყანაში ბოროტებასა, იტვირთა ხელში ანთებული ფარანი და შუადღისას ბაზარ-ბაზარ, ქუჩა-ქუჩა სიარულით კაცს დაეძებდა. რა დაბრუნდა შინ: დაახეთქა ფარანი და დაიყვირა: აჲ ქვეყნის უბედურება! მთელი დღე ვიარე ქალაქში, ყურადღებით კაცს დავეძებდი და ვერცა ერთი ნამდვილი კაცი ვერა ვპოვეო.—იყო ორშაბათი, საათის მეცხრე, თუ მეათე, როდესაც წარმომიდგა ეს ჰაზრი. ეზოპს კაცს უძებნია და მოდი მე ქართველს დაუწყებ ძებნას მეთქი. ავდექი წყნარად, ქართველურად, ზლაზვნით, ზმორებით ფეხზე და გავიწიე კუკიის ხიდისკენ, საიდანაც მინდოდა მოგზაურობის დაწყობა: ყაბახზე ვიფიქრე, მოდი ერთი შევალ წარუდგები ქართველთა ფენომენს მეთქი". მოლაყბეს უნდოდა ერთ დიდ თავადიშვილის ნახვა, რომელსაც „ფენომენს", ეძახის, მაგრამ ფენომენს თურმე სძინებია და ცდა მოუხდა. მოლაყბის ყურადღებაა აქცევს ფრაკში გამოწყობილი მოსამსახურე, რომელიც თუმცა ქართველია, ქართულს არა კადრულობდა. მაგრამ აი „გამოვიდა ოთახიდამ ხმა „ეი!" მე ფიცხლავ მივხვდი, განაგრძობს ჩვენი მწერალი, უთუოდ ბატონმა გაიღვიძა მეთქი. მე გარწმუნებთ, რომ საწყალი მეფე ირაკლიც არ იქცეოდა ასე ამპარტავნებით როგორც ეს ჩუ̂ენი ბატონი... ბიჭს დავაბარე, მოახსენე, რომ საწყალი თქუ̂ენი ლაზღანდარა გახლავსთ სალაყბოდან ეს-ეს არის მოსული—მეთქი და ლაყბობა მოსდომებია კეთილს საქმეზედან მეთქი, პატარა[?] ხანს უკან ბიჭი გამოვიდა და მითხრა: ბატონმა ბძანა, ეხლა არა მცალიან იმ კეთილის საქმისათვის, რისათვისაც მოსულხარ. ის სალაყბო მეიდანი დიდი ხანია მოიშალა, იქაურნი მოქმედნი პირნი ჯამბაზებათაც აღარ ვარგიან და იმათი ტაკი მასხარა რა იქნებაო. მე აქ მივხვდი, რომ თუ ლაყბობის სახელის წოდება, ტაკი მასხარაც გამხადა, ვიფიქრე ისევ ჩამოვეცალო წავიდე ჩემს გზაზედ თორემ, თუ აუხირდი, უთუოდ ძალათ გამაგდებენ მეთქი, ავდექი და ბუტბუტით გამოველი, კარი ფიცხლავე მომაკეთეს, ისე მომაკეთეს, რომ ჩემმა ზურგმა როგორღაც ტკივილი იგრძნო!.. აჲ საფუძველი ქართველობისა, აჲ ნუგაში, აჲ საიდგან წარმოსდგება წარმატება საწყალის ენისა, რომლისათვისაც ზრუნავს უმაღლესი მთავრობა, მწუხარებით ვფიქრობდი ამას და მოვდიოდი ყაბახზე"[1])...

ამ სახუმარო ნაწყვეტში ღრმა ეროვნული სევდა მოსჩანს. „ის სალაყბო მოედანი დიდი ხანია მოიშალა, იქაურნი მომქმედნი პირნი ჯამბაზებათაც აღარ ვარგიანო" — ამ სიტყვებში კარგად ისახებოდა ჩვენი მწერლის გულის თქმა. სალაყბო მოედანი ძველს დროში ხომ მართლაც არსებობდა ტფილისში ანჩისხატის უბანის, არქიელის სახლის წინ რომ მოედანია, იქ, სადაც ძველ დროში ქართველ მეფეების სასახლე იყო. იგი იყო რომაელების მსგავსი ფორუმი, სადაც იკრიბებოდნენ, ახალ ამბებს უზიარებდნენ ერთმანეთს და მსჯელობდნენ სხვა და სხვა საგანზე. ძველად ეს სერიოზული საქმე იყო, ახლა კი ჯამბაზობად გადაიქცა. ყოველივე ეს, სახუმარო და დაცინვის ენით ნაამბობი, პოლიტიკურ პამფლეტის მსგავს რასმეს მოგვაგონებდათ. მაგრამ გავყვეთ ნაწყვეტ მოლაყბეს:

„უცებ შევეფეთე ერთს ტიკსავით გაბერილს სომეხს... დავუწყე ლაპარაკი. პარუნ მინასჯან, ერთი ქუ მატად მამეხმარე მეთქი!..' ის გაოცდა, რა გასჭირებია ასეთიო პირი დააღო და მიპასუხა: ვა! ახარ ემე რა გინდა ჩემგანო! არაფერი არ მინდა შენგან, დღეს გამოვსულვარ იმ ჰაზრით, რომ ქართველებს დავეძებ მეთქი და თუ ვიპოვნე სადმე რომელიმე ქართველი ამაღამ ვეჩერში უნდა დავპატიჟო მეთქი. არა ქუ მატად, ოღონდ ქართველებში ნუ გამრევ და სხუ̂ა ემე რაც გინდა მთხოვეო. ქართველებისაგან დიდი ხანია გული დაჩაგრული მაქვსო. მე აქ ვიპოვნე კარგი შემთხვევა თხოვნისა და ვუთხარი: ეს მაინც მიყავი პარუნჯან, ჩუ̂ენს „ცისკარზე" ხელი მოაწერე მეთქი. აჲ დააღო აქ მეორეთ პირი და მითხრა: ვა! ახარ შემწეობაა, ჩუ̂ენს ემე კახეთს შევეწიოვო... ამ სიტყვაზე ისე გამაჩუმა, რომ... სომეხები არიან, ქართველები არსად, ვიტყოდი და ამოვემართე კლუბს... პირველადვე ჩუ̂ენს „ცისკარს" მოვავლე თვალი. ამ დროებით „ცისკარი" შექმნილიყო თაგვებისა საზრდოდ. ეს კიდევ არაფერი ერთს ალაგას ვნახე დაეშალათ და ფანჯრებზე გაეკრათ. ამის ნახვაზე, დავღვრე, უყურე და შევნიშნე, რომ ლოყები დამსველებოდა ცრემლით. არ იყო კიდეც, რომ გული როგორღაც მეწოდა. საწყალობელნი: რუსთველი, ჩახრუხაძე და სხვა. განა ამისათვის ცდილობდნენ ენის აღყვავებისათვის, რომ ამისთანა ხვედრი დასცემოდა იმათ შვილისშვილთაგანი?.." (იქვე) გაჯავრებულ გულზე რუსულ გაზეთებისთვის დაუვლია ხელი ჩვენს მოლაყბეს და კითხვა დაუწყვია „კავკაზის" იმ ნომრისა (№ 58, 1858 წ.), სადაც დაბეჭდილი იყო ხელმწიფის ალექსანდრე II სიტყვა, წარმოთქმული მოსკოველ თავად-აზნაურთა დარბაზში. ეს სიტყვა ისე მოსწონებია მოლაყბეს, გადაუთარგმნია და გაუგზავნია დასაბეჭდათ „ცისკარში". მართლაც იგი დაბეჭდილია ჟურნალის იმავ XII ნომერში.

მოკლედ რომ გავახსენოთ მკითხველს შინაარსი მეფის სიტყვისა, უნდა აღვნიშნოთ შემდეგი უმთავრესი დებულებანი მის აზრისა. ხელმწიფე უკმაყოფილო იყო მოსკოვის თავად-აზნაურობის საქციელით. თავად-აზნაურობა თითქმის მტრულად და გულ-გრილად მოეკიდა გლეხთა-განთავისუფლების საკითხს. იმპერატორი აფრთხილებდა თავად-აზნაურობას, საჭიროა გლეხთა რეფორმა მთავრობამ იკისროს, სანამ ხალხი თვითონ არ მოახდენს ამ რეფორმასო. (სჯობს ზემოდან დავიწყოთ და ნუ მოუცდით სანამ ქვემოდან გაჩნდება მოძრაობა). თავად-აზნაურობა მიყვარს და დავეხმარები კიდეცაო, მაგრამ საჭიროა იცოდნენ, რომ გლეხთა-განთავისუფლება უნდა მოხდეს არა მარტო სახლკარიანად, არამედ სახნავ-სათესი მიწის მიზომვითაო.

„ამ სტატიის წაკითხვაზე, განაგრძობს მოლაყბე თავის საუბარს, ყოველი ჩემი გონება, სული, გული და თვითოეული ასო გარდაიქცა გრძნობად და ვიძახდი: რად არ შემიძლიან სიცოცხლე ჩემი შევწირო მას, რომელსაც ჩემის შეწირვით შეეძლოს აღსრულებაში მოყვანა კეთილისა იმ განზრახვისა, რომლისათვისაც დაუცხრომელად ზრუნავს მეთქი... ქართველნო! თუ ხართ სადმე. ჯერ კი ვერ მიპოვნიხართ და თუ გიპოვნეთ, თქუ̂ენი ძველად ხასიათი იყო, არა თუ ქონებას მეფისათვის, სიცოცხლეს შესწირავდით, არა თუ თავსა, აკვნის ყმაწვილსა გამოიყვანდით და მეფის ჰაზრს არ უარჰყოფდითო. სად არის ძველებური ეგე ხასიათი. ჩუ̂ენი დიდი მეფე შესდგომია იმისთანა საზოგადოს კეთილს აზრს, რომელზედაც ჰკვირობს მთელი ევროპა. რას მოგვიკვეცნია, რატო შეძლებისამებრ არ მოგვიხსენებია: „დიდო იმპერატორო! ჩუ̂ენო მფარველო, ჩუ̂ენო უსჯულოთ მაჰმადთან დამხსნელო! გვიბრძანე და მზადა ვართ ერთგულნი შვილნი ივერიელნი"!.. თუ იტყვით გვიყვარსო, მაშ დავამტკიცოთ და ნუ მივიყვანთ იქამდინ, რო იმ აზრით ბრძანდებოდეს, რა აზრითაც მიუღია მოსკოვის კეთილშობილნი. ღმერთმან დაგვიფაროს!..[2])

ამ ფირმით და ამ სახით დაიწყო ლაპარაკი მოლაყბემ ბატონ-ყმობის შესახებ. როგორც ხედავთ, მისი რადიკალიზმი მაინცა და მაინც არავისთვის საშიში არ იყო. მის თვალში თავი და თავი აღსრულება იყო ხელმწიფის სურვილისა. რაკი ხელმწიფეს სწადდა ყმების განთავისუფლება და რაკი იგივე ხელმწიფე ქართველთა მფარველი იყო, მაშასადამე ქართველ თ.-აზნაურობის მოვალეობა იყო ხელმწიფისთვის მხარის დაჭერა. „მეფობის" იდეალიზაცია საშუალებას არ აძლევდა მოლაყბეს საგანი სხვა საზომით გაეზომა. ისტორიისთვის დღეს უტყუარი ფაქტია ის, რომ მთავრობამ იკისრა ინიციატივა ამ საქმეში რევოლუციის შიშით. ყოველივე ეს, რათქმა უნდა, არც არსებობდა ჩვენი მწერლისთვის—ამ-

*) იხ. „სახალხო გაზეთი" № 463.

[1]) XII, 1858 წ.

[2]) № ibid.

# რუსეთ-სპარსეთის უთანხმოება

დეპეშები

29 ნოემბერი

**თეირანი.** წუხელის მეჯლისის-თვის შეცვლილ კაბინეთის წევრთა სია უნდა წარედგინათ, მაგრამ სამ-სამ-ულ-სალტანემ ვერ მოახერხა, რადგან ხაკიმ-ულ-მულკს საბოლოოდ ვერ გადაუწყვეტია ფინანსთა მინისტრის თანამდებობის მიღება. ამბობენ, ფიდაების ჯგუფმა მეჯლისის წევრებს მოსთხოვა, 30 საათის განმავლობაში ძლიერი მთავრობა შეადგინეთ, უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობა მოაგვარეთ, სესხის აღების საკითხი გადასწყვიტეთ და ხარჯთ-აღრიცხვა და მეჯლისის დათხოვნის საკითხი დაამტკიცეთო.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. მთავრობის წარმომადგენელმა სპარსეთის საქმეების თაობაზე შეკითხველთ უპასუხა და განაცხადა, რუსთა მოთხოვნილება ისაა, რომ რუსთა და ინგლისის მისიის უდასტუროდ სპარსეთის მთავრობამ უცხოელნი მოხელეებად არ მიიწვიოსო.

**ასხაბადი.** ხორასნის მდგომარეობა უკანასკნელ ხანს მთლად გაფუჭდა და გზებზე ძარცვა-გლეჯა გახშირდა. მეშედში უპასპორტო გადმოხვეწილი კავკასიელნი რევოლუციონერებთან ერთად ხალხს უცხოელთა წინააღმდეგ ამხედრებენ. განსაკუთრებით დიდ ქადაგებას ეწევა მუშტეიდი აღა ზადე, რომელმაც მეჩითში კრება გამართა და წმინდა ომის გამოცხადებას ურჩევდა ხალხს და სახაზინო თოფებს ურიგებდნენ. დაარსდა სიუშიშროს კომიტეტი, რუსთა დაწესებულებათა და მცხოვრებლებზე თავდასხმისთვის.

**ჯულფა.** ქოიდან სალმასსა და კუშჩინის ულელტეხილისკენ მსროლელთა ნახევარი როტა გაიგზავნა, იგი ურმიის გზას დაიცავს. ქარავნებს მგზავნიან. ჯულფასა და ურმიის შორის მიმოსვლა აღადგინეს.

# იტალიისა და ოსმალეთის ომი

დეპეშები

29 ნოემბერი.

**სტამბოლი.** ოსმალთა პრესა მსჯელობს რუსეთ-ოსმალეთის შეთანხმების სრუტეთა საკითხის გადაწყვეტის თაობაზე. გაზეთები აღნიშნავენ, პეტერბურგის კაბინეთმა, ეხლაც კი, როცა ოსმალეთი ომში არის ჩათრეული, თავი არ დაანება სრუტეთა საკითხს. გამოირკვა, რომ რუსეთის ელჩს ოსმალთა გამოჩენილ პირებთან კერძოდ ულაპარაკნია ამ საკითხეს თაობაზე.

**კაირო.** ეგვიპტელთა „წითელ-ჯვრის“ სამი რაზმი ტრიპოლის გაემგზავრა. ვაგზალში მანიფესტაციები მოახდინეს.

**ბენგაზი.** 29 ნოემბერს, საღამოს ოსმალნი იტალიელთა მოწინავე პოზიციებს დაეცნენ. იტალიელებმა ხელჩართულ ბრძოლაში 36 მოუკლეს და უკუაქციეს. იტალიელებს სამი მოუკლეს, 12 დაუჭრეს.

გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ.

**გენერალ კანევას გამარჯვება.**

ამ სათაურით „რუსკოე სლოვოში“ დაბეჭდილია ვ. მიხაილოვსკის წერილი. იგი ამბობს:

როგორც იქმნა, გენერალმა კანევამ ომის მესამე თვეს ნამდვილად გაიმარჯვა. 22 ნოემბერს იტალიელთა ჯარი თხრილებს მოშორდა და გენერალ ფრუგონის მეთაურობით ტრიპოლიდან 15 ვერსის მანძილზე მდებარე აინსარასთან ოსმალებს დაეცა. ბრძოლამ ათს საათს გასტანა. ცხარე ბრძოლა იყო: იტალიელებმა სამხრეთისაკენ დაახევინეს ოსმალებს. რასაკვირველია, იტალიელთა სახელის გაძვრცვნილ გვირგვინს აინსარის გამარჯვება ახალს ვერას შეჰმატებს. თვით იტალიელები ამბობენ, ამ დღეს არაბ-ოსმალთა რიცხვი 5 ათასს არ აღემატებოდაო. იტალიელები ოთხნი ერთს ებრძოდნენ—მათი რიცხვი 20 ათასი იყო და 72 ზარბაზანი ჰქონდათ. ამას იტალიელთა ზარბაზნების სისტემის სიკეთე უნდა მიუმატოთ და გამარჯვება აღარ გაგიკვირდებათ. ოსმალებმა მთელს დღეს გაუძლეს გაცხარებულ და ხშირ სროლასა. მათ კი მიზანში სროლას ამოვარდნილი ქარი ხელს უშლიდა: იგი მტვერსა და ქვიშას პირდაპირ სახეში აყრიდა ოსმალთა ჯარს, ვინაიდან ქარი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან ჰქროდა, ოსმალებს 300 კაცი დაუჭრეს და დაუხოცეს, იტალიელებს—150 გენერალ კანევას სიტყვით, ხელჩართული ბრძოლა არც კი ყოფილა. გამარჯვების ერთად-ერთ ნიშნად ოსმალებისაგან მიტოვებული 8 ზარბაზანი თუ ჩაითვლება. ბრძოლას დროს ხაშინელი კოკისპირული წვიმა მოდიოდა. ალბად ამ წვიმის ბრალია, ოსმალებმა ზარბაზნები რომ მიატოვეს, თორემ იტალიელთა მამაცობა აქ არაფერ შუაშია.

თუ იტალიელებს ტრიპოლიში ბედმა გაუღიმა, კირენაიკში საქმე სხვანაირად არის: იქ ოსმალნი სჯობნიან. იტალიელებს იქ 15 ათასი კაცი ჰყავთ. ენვერ-ბეიმ კი გაწვრთნილ ჯარის გარდა (4 ათასი კაცი) 10 ათასი არაბი შეაგროვა. ბენგაზისა და დერნის იტალიელთა რაზმებს გარს ოსმალონი არტყიან და ჩასაფიქრებელია მათი მდგომარეობა. თუ იტალიელებს დროზე არ მიეშველნენ, შეიძლება ხმელეთი დაატოვებინონ და გემებზე გადარეკონ.

**პეტერბურგი.**

ხმა დავარდა, სტამბოლში მყოფმა რუსეთის ელჩმა პორტას გადაჭრით მოსთხოვა, რუსეთის სამხედრო გემებს დარდანელში გზა გაუხსენიო.

**სტამბოლი.**

„ტანინი“ იუწყება, ალბანეთის ნაპირებზე იარაღის საწყობები აღმოაჩინესო. ამბობენ, ეს საწყობები იტალიელებმა გამართესო.

**ლონდონი.**

ტრიპოლიდან ამბავი მოვიდა, ოსმალთა ჯარი გაქცევის დროს ორ მხარეს წავიდაო. უმრავლესობა დასავლეთ-სამხრეთს დაბანაკდა, დანარჩენი—კი გარიანსში.

**ტრიპოლიდან.**

ტრიპოლიში სრული მშვიდობიანობაა. ტრიპოლ-აინსარის რკინის გზის შენებაც კი დაიწყეს. აინზარაში ბევრი სიმაგრე ააგეს და ძლიერ დიდი ზარბაზნები დასდგეს. ჰსურთ აქედან საქარავნო გზებს ჰბატონობდნენ.

მზვერავთა სიტყვით, ოსმალთა ჯარი გონსას წასვლას აპირებს.

ტრიპოლის ზოგიერთმა თემმა მორჩილება გამოაცხადა.

აინზარის ბევრი მცხოვრები უკან დაბრუნების ნებას ითხოვს. აინზარს დარჩენილი ქალები და ბავშვები ტრიპოლს გაჰგზავნეს.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 ნოემბერი.

**საზღვარ-გარედ.**

**სტამბოლი.** დიფაატ ფაშას მაგიერად სტამბოლის დეპუტატად 196 ხმით 195 წინააღმდეგ აირჩიეს ყურნალისტი ნაზიმ-ქიამილი, ოპოზიციის კანდიდატი და ლიბერალთა კავშირის წევრი.

**პორტო.** ტრამვაის ვაგონი მდ. დუეროში გადავარდა. 16 კაცი დაიღუპა, 30 დაშავდა.

**სოფია.** საერო საკრებულოს დეპუტაციამ მეფე ფერდინანდს სეფე-სიტყვის პასუხი მიართვა. ფერდინანდმა მოისმინა დეპუტატების ნათქვამი და აღნიშნა, საჭიროა ერთნაირ ჯგუფების გაერთიანებაო. შემდეგ ნადიმი გაიმართა. მეფე პარტიათა ბელადებს პოლიტიკის თაობაზე ესაუბრებოდა.

**რიო-დე-ჟანეირო.** პერნამბუკოს და შტატის მთავრობის წევრებმა სადგომი მიატოვეს და არ იციან, სად წავიდნენ. გარეშე საქმეთა მინისტრმა საფრანგეთის ელჩს ყოფნის ესპანიის პასუხი გადასცა.

**შტუტგარტი.** დილის 6 საათსა და 30 წუთზე მიწა ძლიერ იძრა.

**ბელგრადი.** ბიუჯეტის განხილვის დროს მილოვანოვიჩმა აღნიშნა, ფორმულა „ბალკანეთი-ბალკანელთათვის“ ერთობის ყველა სახელმწიფოს უნდა აქონდეს ადიარათ. ფორმულა მოიწონა დიდებულმა რუსეთმაც და ამით უზრუნველყო ბალკანეთში თავისი ინტერესები. ბიუჯეტი მიიღეს 76 ხმით 54 წინააღმდეგ.

**დელი.** მეფემ გამოაცხადა, ინდოეთის მთავრობის რეზიდენცია კალკუტიდან დელის გადმოაქვსო.

**ვაშინგტონი.** ხალხის წარმომადგენელთა პალატის უცხო საქმეთა კომისიამ ერთხმად მოიწონა სულცერის რეზოლუცია, რითაც უქმდება რუსეთისა და ამერიკის შორის 1832 წელს დადებული ხელშეკრულება, რადგან რუსეთი არ იღებს ხოლმე ამერიკის მიერ ებრაელთათვის მიცემულ პასპორტებს.

**ვენა.** აქაურმა რუსეთის საელჩომ საიმინისტროს მოსთხოვა დღეებში მომხდარ ინციდენტის საფუძვლიანად გარკვევა და დამნაშავეთა დასჯა. სამინისტრო თხოვნის ასრულებას შეჰპირდა. საელჩომ ლვოვის ელჩსაც ურჩია, მანდაურ მთავრობასაც მოსთხოვე ესაო. ელჩმა აუწყა, ერთი დამნაშავეთაგანი უკვე სამართალში მისცესო.

**დელი.** მეფის კურთხევის დღესასწაული გაიმართა და მეფე ინდოეთის იმპერატორად გამოაცხადეს. ცერემონია ძალიან კარგი სანახავი იყო. მას დაესწრნენ ბრიტანიის გუბერნატორები და ინდოელთა თავადიშვილნი.

**ცეტინიე.** მეფემ კაბინეტის გადადგომა არ შეიწყნარა და რესკრიპტით სრული ნდობა გამოუცხადა. სკუშნინამაც განაცხადა, მზადა ვარ კაბინეტს დახმარება გავუწიოო. სამინისტროს კრიზისი დასრულდა.

**პარიზი.** მთავრობა დასთანხმდა საფრანგეთ გერმანიის მიერ 1 ნოემბერს დადებულ შეთანხმების განხილვას.

**რ უ ს ე თ ი.**

**ოდესა.** ქალაქის საბჭო შეამდგომლობის აღძვრას აპირებს, რათა ქალაქი განთავისუფლებულ იქმნას 240 დამსტებითი შიდიცველთა შენახვისაგან ან სამის წლის განმავლობაში სუბსიდია 81,000 მ. ეძლიოს.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს შეკითხვათა კომისიამ განიხილა შინაგან საქმეთა მინისტრისადმი შეკითხვა ორლოვის გუბერნატორისა და სადღესო ბანკის განყოფილების შეანოო მოქმედებათა თაობაზე.

სახალხო განათლების კომისიამ მოიწონა კანონ-პროექტი ქალების პირველ დაწყებით სასოფლო სამეურნეო სკოლებში მასწავლებლად დანიშვნისა.

ადგილობრივმა თვითმართველობის კომისიამ მოიწონა კანონ-პროექტი ასტრახანის გუბერნიაში 1890 წლის საერობო დებულების შემოღებისა.

სამხედრო საბჭომ მოიწონა მოხსენება კაზაკების განყოფილებისა, რათა ქ. კაკავში ჯარისათვის რეალურ სასწავლებლისა და ქალთა გიმნაზია გახსნან.

შინაგან საქმეთა მინისტრის უქმეშეგრდომილეს მოხსენებაზე არხანგელსკის ქალაქის სამართველოს შეამდგომლობის შესახებ, რათა ნება მიეცეს გამართოს ხელის მოწერა შემოწირულებათა შესაკრებად ქ. არხანგელში ლომონოსოვის სახელობაზე მუზეუმის ასაგებად, ხელმწიფე იმპერატორმა დააწერა: „თანახმა ვარ. მომცეთ [illegible] 2000 მანეთის წირაგ“.

კარდაიცეგადა გზათა მინისტრად ნამუთის სახელმწიფო საბჭოს წევრი შაჰუფუსი.

**სარატოვი.** სამაზრო საერობო კრებამ გადასწყვიტა დაუყონებლივ მისწოდოს 25 სკოლას მოწაფეთათვის საჭმელი, რისთვისაც 30000 მანეთი გადასდვეს.

# თეატრი და ხელოვნება

**ოპერეტა.** ტფილისში ჩამოვიდა საოპერეტო დასი. იგი დაბინავდა საარტისტო საზოგადოების თეატრში. რუსული დრამატიული დასი, რომელიც ამავე თეატრში სდგავდა წარმოდგენებს, ტფილისიდან წავიდა, რადგან ზარალი ვერ აიტანა. არც საკვირველია—ტფილისში ეხლა ყველაფერია: არის ოპერა, ოპერეტა; იმართება ქართული და სომხური წარმოდგენები: არის სახალხო სახლის თეატრი, რომელიც თითქმის მუდამ დღე სავსეა ხალხით; სცენის მოყვარეთა მიერ იდგმება სხვა და სხვა ენაზე ოპერები, ოპერეტები და დრამები; იმართება თათრული, ოსური და კიდევ ვინ იცის, რა წარმოდგენები. კარგი ღონიერი ჯიბეა საჭირო ტფილისისთვის, რომ ყველა ეს აზიდოს.

რა ბედი გაუღიმებს ახალ ოპერეტას—მომავალი გვიჩვენებს, ჯერ-ჯერობით-კი ცუდი არაფერი ვეთქმის. საზოგადოებას მოეწონა პირველი წარმოდგენა, გამართული საშაბათს, 29 ნოემბერს, ხალხიც ბევრი დაესწრო. დასდგეს ვალენტინოვის ოპერეტა „Въ волнахъ страстей“. ცალკე მომღერალ-მოთამაშეებზე ჯერ-ჯერობით ვერაფერი ითქმის: არტისტები ეს-ეს არის ჩამოვიდნენ მოსკოვიდან და შესაძლებელია, რომ ახლად შემდგარმა დასმა, ნამგზავრმა და პირველ წარმოდგენისთვის საკმაოდ ვერ მომზადებულმა, ვერ შესძლო მთელი თავისი შნო და უნარი გამოეჩინა. ეტყობა კი, რომ დასი გამოცდილის ხელის მიერ არის შემდგარი. არიან დასში კარგი მომღერალნიც, რასაკვირველია, რამდენადაც ოპერეტას შეეფერება. ამ საღამოს, მაგალითად, ძალიან მოეწონა დამსწრე საზოგადოებას მომღერალი ჩუგაევი. კომიკურ როლების ამსრულებლებმა ამავე საღამოს მიიქციეს დამსწრე საზოგადოების ყურადღება. არა უშავს-რა ორკესტრსა და ხოროსაც.

---

გვარი შეხედულება არ ეგუებოდა იმ ხალხოსნურ-მონარქიულ პრინციპებს, რომელსაც აღიარებდა და იზიარებდა მოლაყბე. მაგრამ, მიუხედავად ყველა ამისა, „ცისკრის“ ფურცლებზე მოლაყბემ პირველმა აღძრა ბატონყმობის საკითხი. და საყურადღებო ის არის, რომ ამ თავის გაბედვისათვის დასჯილიც იყო იმ დროინდელ საზოგადოების მიერ. მისი წერილი დაიბეჭდა დეკემბრის ნომერში 1858 წელს. ხოლო 1859 წელს იანვრის წიგნიდამ ვიგებთ, რომ „ცისკრის“ თანამშრომელთა რიცხვიდან ჩვენი პუბლიცისტი გაძევებული იქმნა. ივ. კერესელიძემ ამის გამო სარედაქციო წერილიც დასტამბა, რომელშიაც, სხვათა შორის, ამბობდა:

„მოვყევით სალაყბოს ფურცლის გამოცემასა იმ აზრით, რომ ვგონებდით საზოგადოება ალტაცებით მიიღებდა ამ საგრნობელ სტატიას. მაგრამ, რას იტყვით, თითქმის ოთხკუთხივ აღვიდგნენ! რა ვპოვეთ იმ სტატიაში წინააღმდეგი? გარწმუნებთ, რომ რასაცა სწერდა უ. მოლაყბე, ყოველივე იყო გამოსული კეთილის გულითგან, გულმტკივნეულობით. რა გაეწყობა ეს ჩვენი ჟურნალი არის საზოგადო, მაშასადამე არის ხმა საზოგადოებისა. ჩვენი ჟურნალი გამოდის კმაყოფილებისათვის და სიამოვნებისათვის საზოგადოებისა, მაშასადამე უკეთუ მცირედი რამ ვპოვეთ საწყენად მკითხველთა, მაშინვე მოვიხმარებთ ყოვლისვე ღონისძიების მიზეზის მოსპობისათვის.—ამასთანავე ვუბრუნებთ უ. მოლაყბეს ბოდიშით თავის „სალაყბოს ფურცლებს“ დღეიდან ესალმებიან ჩვენდა სამწუხაროდ „ცისკარს“. თუმცა ის მაგდენს არ ინაღვლის! მაგრამ გონია როგორც გვიჩურჩულა ერთმა ყურში, (ჩუმნში დარჩეს) უთხოვნია მთავრობისთვის ნების დართვა, გაზეთის გამოცემისა, რომლისათვისაც უწოდებია სახელად „სალაყბოს ფურცელი“. ბევრნი ხელის მომწერნი კი ეყოლებიანო!“..[3])

ამ წერილში ივ. კერესელიძის ფიზიონომიაც კარგად მოსჩანს. აშკარაა, იგი ხელშეკრული იყო და „დიდებულთა“ გავლენას ემორჩილებოდა. „ცისკრის“ მკითხველთა შორის დიდი უმრავლესობა ქართველი თავად-აზნაურნი იყვნენ, გავლენიანი ძველი გვარების წარმომადგენლნი. ივ. კერესელიძეს რომ ეთქვა ჟურნალი თავად-აზნაურობისაა და იქ უნდა იბეჭდებოდეს ის, რაც ესიამოვნება თავად-აზნაურობას, უფრო მართალი იქნებოდა. ჟურნალი კმაყოფილებისათვის და სიამოვნებისათვის გამოდისო. სჩანს ჯერ კიდევ გარკვეული არ იყო პრესის მნიშვნელობა, ჯერ კიდევ არ ესმოდათ, რომ პრესა არის მებრძოლი იარაღი და არა დროს გამტარებელი სათამაშო და გასართობი საგანი. მაგრამ „ცისკარი“ წოდებრივ ალერსში აღზრდილი, „დიდებულთა“ თანაგრძნობით იბრუნებდა სულსა და ამიტომ უნებლიედ კლასიური ელფერიც მიითვისა და ვეღარ შეიწყნარა იმგვარი შწერალიც კი, რომელსაც მხოლოდ მეტი გაბედვა ჰქონდა ვიდრე ივ. კერესელიძეს, თორემ არც ის იყო საშიში და მავნებელი ნიჰილისტი. საყურადღებო კიდევ ის არის, რომ თითქოს ესარჩლება კიდეც, თან კი ეშინიან, მართლაც არ დაარსოს მეორე ჟურნალი. „ბევრნი ხელის მომწერნი კი ეყოლებიანო“, ამბობს დაცინვით „ცისკრის“ ხელმძღვანელი.

ბატონ-ყმობის შესახებ თავის დროზე ვრცლად გვექნება საუბარი, ეხლა კი ისევ „ცისკარს“ მიუბრუნდეთ. მოლაყბის გასტუმრება რედაქციიდან არც ისეთი უმნიშვნელო საგანი იყო იმ ხანებში, რომ ცხარე ლაპარაკი და მითქმა-მოთქმა არ გამოეწვია საზოგადოებაში. ამ მითქმა-მოთქმის კვალს ჟურნალშიაც ვპოვებთ. მოლაყბის უკანასკნელი წერილი, სადაც აღწერს თავის მოგზაურობას ტფილისში და მისვლას „ფენომენთან“, განსაკუთრებით არ მოეწონათ ზოგიერთ თავადიშვილთ. ამბობენ, ვითომ ალექსანდრე ორბელიანი ჰქონდა მხედველობაშიო.[4]) მაგრამ არა გვგონია, რადგან ალ. ორბელიანი, თუმცა ძველი დროის კაცი იყო, ძლიერ სასიამოვნო და სიმპატიურ ადამიანად მოსჩანს იმ დროინდელ წყაროებიდან. ალ. ორბელიანი, ერთი თანამშრომელთაგანი იყო ჟურნალისა, მხურვალედ უყვარდა ლიტერატურა და თვით მანვე დაჰგმო საზოგადოება მოლაყბის დევნისთვის. თავის წერილში, სადაც სალაყბოს ფურცელს ეხება, იგი ამბობს:

„რადა ვჯავრობთ, როდესაც ჩუმნს ნაკლულევანებას გვეტყვიან რასმე? იქნება არ ვიცოდეთ, რომ ყოველი ადამიანი თავის თავზე და ბრმავებულია ყოველთვის და თავის ნაკლულებს ვერას ხედავს? ეს თქმა დიდიხანია დამტკიცებულია საქმით, რომ რაც უნდა შეცდომილებაში იყოს ადამიანი, ვერ დაინახავს თავის თავს არას დროს. . თუ გნებავთ პირველათ ჩემგნით დაიწყეთ: მე დამგმეთ, მე გამლანძღეთ და რაც უარესია დაწერეთ ჩემზე, დიდად მიამება, ვინ იცის, იქნება მეც ბრმა ვიყო ჩემს თავზედა... აპა როგორ არ ითქვას აქ? როდესაც ჟავახის გიორგი დავითის ძის ერისთავის გაყრილობის კომედია ითამაშეს, ის ზნეობითი კომედია და ჩუმნი დიდი საგრძნობელი, რა ყოფა იყო, ანუ რა ძახილი? სწორეთ ვიტყვით, უფროსი ერთმა ვერ იგრძნო ის კარგი ზნეობითი კომედია და სასაცილოდ მიიღეს, ვითომ: გაცინვისთვის დაუწერიაო. მე ამას რასაც ვამბობ, მართალია: საზოგადოების აზრი გამოვიკითხე მაშინ ამაზე“[5]).

აქ ალ. ორბელიანი ერთ ფრიად საყურადღებო ნაკვთს აღნიშნავს, თავად-აზნაურულ ფსიხოლოგიის ნაკვთს. იმ ყრილობაში, რომელსაც დაესწრო ჩვენი მწერალი და სადაც ჰგმობდნენ კერესელიძეს, ერთმა გავლენიანმა კაცმა სთქვა: „არა, მაგ სალაყბოს ფურცელს კერესელიძე ხომ არა სწერს—სხვაზედ თქვა.— ეს და ეს თავადიშვილი სწერს და არა კერესელიძეო. ამ სიტყვაზე, დასძენს ალ. ორბელიანი, ცეცხლს რომ წყალი დაასხან, ისე განელდნენ და ერთმანეთს ცქერა დაუწყეს დამშვიდებულის სახით და ბოლოს ერთმა თქვა სიამოვნებით:— ჰო, ეგ კი! იმან რო დასწერის, შეეფერება და ამას იქით კიდეც მოვიწონებთ მაგ სალაყბოს ფურცელსაო. ჰა ჩემო ხელმწიფენო! ამაზედ მე აღარ ვიტყვი აქ.“[6]).

აღსანიშნავი სულის განწყობილებაა. თავადს აქვს უფლება გაჰკიცხოს თავადი, „მას შეეფერება“ ამგვარი განზრახვა. ხოლო გარეშე წრის კაცს, თუნდ აზნაურ კერესელიძეს ამგვარი უფლება აღარ ენიჭება. მეცხრამეტე საუკუნეში ცოცხალია კიდევ ის, რაც აღბეჭდილია ბექა და აღბუღას სამართალში, თავადიშვილის სისხლს ერთი ფასი აქვს, აზნაურის სისხლს მეორე, ხოლო გლეხის სისხლს კიდევ მესამე. ფეოდალური საქართველო ჯერ არ მომკვდარა. და საზოგადოებრივ ჟურნალს, რომელსაც ამ წრეში ეძიება სიცოცხლის ხილვა, მძიმე ტვირთად აწვებოდა საუკუნოებით შეზრდილნი და გადმოცემული მაღალ წოდების გრძნობა-სურვილნი.

მაგრამ „ცისკარი“ ერთ ხაზზე მაინც ვერ დადგა. დრო ისეთი იყო, რომ მის წინააღმდეგ ვერავინ აღსდგებოდა. საიდანღაც მოჰბეროდა თავისუფლების სიო და რაც უნდა ჩაეკეტა კარ-ფანჯარა ჩვენს რედაქციას, ამ სიოს ქროლვა მასაც ხვდებოდა. გაძევებულმა მოლაყბემ ფართო წრეებშიაც ჰპოვა თანაგრძნობა. ჟურნალში დაიბეჭდა წერილი „გამოსარჩლება“; რომელსაც ხელს აწერს თერთმეტი მებუკე.

„ზოგიერთნო პატივცემულნო ქართველნო,—ასე იწყება გამოსარჩლება,—გთხოვთ გვიცნობდეთ ჩვენ თერთმეტთა ბუკის მცემელთ: ჯერ მე მყვირალას, 2. გადარეულს, 3. თავხედს, 4. ყბედს, 5. აყვიას, 6. გიჟმაჟს, 7. ავკაცს, 8. ბრაზიანს, 9. დაუფერებელს, 10. რეტიანს და 11. მოლაყბეს. აქამდისინ საჭიროდ არა ვრაცხდით, ჩვენი ვინაობა შეგეტყოთ, ახლა გვიცნობიხა, რადგანაც მიზეზი რამ გამხდარა უკმაყოფილებისა“! . „ვინც ილანძღებიან, განაგრძობენ თერთმეტი მებუკე, იქნება იმათა ჰგონიათ, მხოლოდ ისინი იყვნენ ქართველები და სხვა არავინ არის საქართველოში?—არა ბატონებო, ნება მოგვეცით რომ პირდაპირ გითხრათ, თუ თქვენ ქართველები იყვნეთ, არამც თუ სალანძღველს იტყვით, არამედ წინამორბედნი იქნებით და დიდად შეეწევნით თქვენს ქართულს ენას. მაშ თუ არ დაგიშლიათ, ერთს რასმეს გთხოვთ. ვისაც გნებავთ, მობრძანდით თქვენი ჰირიმე, ეგ თქუმნი დიდრონი პტყელი ფეხები და ესე ჩვენი მცირედი მოლაყბე: მოგცემთ ხელში და ღმერთი გადღეგრძელებსთ, ბევრი ეცით, ასე ჩათათხეთ, რომ ფარდაგით წაიღონ. მაგრამ ამას კი ვიტყვით, ამ მოლაყბეს რომ მოჰკლავთ, მასუკან გადარეული დასწერეს უფრო უარესად და გარკვევით, ამასაც რომ მოჰკლავთ მერე თავხედი და ბოლომდისინ ასე ვივლით, მანამდისინ სულ ერთიანად არ გაგვწყვეტთო“[7]).

მაშ საქართველო თავად-აზნაურობა არ ყოფილა. აქ თითქოს ამ მეორე საქართველოს ჰსურს თავის ამოყოფა. აქ თითქოს ორ ბანაკთა შეტაკების ჯეჯმაა დახაზული. და ეს უფრო ნათლად სჩანს შემდეგ სიტყვებში:

„მოდით ერთს რჩევას მოგცემთ ამ ზოგიერთებს. ეს ჩვენი ცისკარი ხომ ვითომც „ცისკარია“ თქუმნის მოწყალებით, ახლა თქვენ თორმეტი მზე გამოეცით, მეორე ქართული ჟურნალი და ეს ორნი მხარნი შევიჭიდნეთ. თქუმნ თორმეტის მზის დასნი და ჩვენ მცირედი ცისკრისა. ხედავთ? ცხადია, რომ მზის დასნი ბევრით ძლიერნი იქნებით ცისკრის დასზედ. მაგრამ არ დაგეურიდებით: ვწეროთ და ვბეჭდოთ ერთმანეთზედ: ღმერთი და ბედი, ვინ უფრო გავიმარჯვებთ“[8]).

საიდუმაც მოჰქრის თავისუფლების სიო! ასე უცნაურად ალაპარაკდნენ და ივ. კერესელიძეც აღარას ამბობს საზოგადოების კმაყოფილების და სიამოვნების შესახებ. ეს უკვე მომავალ საზოგადოებრივ ჯგუფთა ბრძოლის წინაგრძნობაა, ეს უკვე დასაწყისია განთიადისა. მაგრამ აასრულებს კი თავის მოვალეობას ჩვენი „ცისკარი“? ყოველივე ამას ქვემოდ გავიგებთ. ახლა კი ისევ კვალ და კვალ გავყვეთ ჩვენ ჟურნალს და ვეძებოთ არ გამოგვეპაროს იმისთანა რამ, რასაც ჰქონდა მნიშვნელობა ქართველთა გათვითცნობიერების საქმისათვის.

არჩილ ჯორჯაძე.

(შემდეგი იქნება).

[3]) N 1. 1859 წ.

[4]) ალექსანდრე ორბელიანი ვახტანგ ორბელიანის ძმაა. ავტ.

[5]) N 1, 1859 წ.

[6]) Ibid.

[7]) № 2. 1859.

[8]) ibid.

ამავე დასში მონაწილეობას იღებს ჩვენი თანმემამულე ვლ. კავსაძე. კავსაძე სულ ახალგაზდა მომღერალია, ერთი თუ ორი წელიწადია, რაც ოპერეტაში მღერის, მაგრამ უკვე პირველ პარტიებს ასრულებს: თუმცა ხმა დიდი თეატრისთვის სუსტი აქვს. მაგრამ, სამაგიეროდ, მეტად ტკბილი და სასიამოვნოა, ზევრად უფრო სამო მოსასმენია შუა, ვიდრე მაღალ ფარდებში; ეს ალბად იმის ბრალია, რომ ბ-ნ კავსაძეს თითქმის არავითარი სამუსიკო განათლება არ მიუღია და ხმა საკმაოდ მოქნილი ვერა აქვს. ახალგაზდა მომღერალს საუცხოვო გარეგნობა აქვს და სცენაზედაც თავი თამამად უჭირავს. ყველა ეს თავდებია, რომ ბ-ნ კავსაძე ტფილისელების საყვარელ არტისტად გადაიქცევა. ყურადღება ამ სალამოსვე მიიქცია: რამდენჯერმე მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს.

**ქართული ოპერა.** ძალიან სასიამოვნო იქნება, თუ ქართულმა ოპერამ ფეხი მოიკიდა. ჯერ-ჯერობით თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყოველთვის, როდესაც კი ქართულ ენაზე ოპერა დაუდგამთ, დიდი საზოგადოება მოუზიდიათ. სამშაბათსაც „ახალი კლუბი"-ს თაოსნობით გამართულმა ქართულმა ოპერამ თეატრში ბევრი ხალხი მიიზიდა. დასდგეს როსინის ცნობილი ნაწარმოები „სევილიელი დალაქი" ფიგაროს როლს ასრულებდა ბ-ნი ცხომელიძე, ალმავივას როლს—ბ-ნი სარაჯიშვილი. ორივე მომღერალს კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოება. ბ-ნმა სარაჯიშვილმა კარგად შეასრულა თავისი პარტია, განსაკუთრებით კარგი იყო სცენა როზინას სახლის წინ. ბ-ნს სარაჯიშვილს არა აქვს დიდი ხმა, მაგრამ სამაგიეროდ მისი სიმღერა სმენას უხალისებს მსმენელს თავისი მუსიკალურ სილამაზით. არა უშავდა რა ბ-ნ ცხომელიძესაც. როზინას როლს ასრულებდა ქ-ნი ივასოვისა. მაღალ ფარდებში მისი ხმა ცოტა მოუხეშავად ისმოდა, მაგრამ საზოგადოდ მაინც, განსაკუთრებით საშუალო ფარდებში სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა. სხვა ამსრულებელნიც, რამდენადაც კი გამოუცდელ მომღერალთათვის შესაძლებელი იყო, ანსამბლს ხელს უწყობდნენ. ამ მხრით მეორე მოქმედება გამოუცდელ მომღერალთათვის დიდს განსაცდელს წარმოადგენს, მაგრამ მაინც რაღენადმე სძლიეს სიძნელე.

ბ-ნ ნ. გ. ქართველიშვილსაც კარგად მიჰყავდა ორკესტრი.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ჩემ წერილს თქვენ პატივცემულ გაზეთში სოფ. ძველ-გავაზის მამასახლისის დავით ხუციშვილის წერილის (სახალხო გაზეთი № 430) საპასუხოდ... ჩემს წერილში (სახალხო გაზეთი № 348) ვამბობდი: „როგორც სოფელში ხმა დადის, გადასახლებულების დაბრუნების მომხრენი ყოფილან ადგილობრივი მოხელე და რამდენიმე შეგნებული პირი"... სრული უფლება მქონდა დამეჯერებინა ამ ხმებისთვის, რადგან თქვენ იყავით დავითაშვილის მეგობარი მას შემდეგაც, როცა ძველ გავაზის ყოველმა მცხოვრებმა იცოდა მისი ქურდობა-ავაზაკობა. ვიცოდი აგრედვე ისიც, რომ თქვენ შარშან არ მიიღეთ შესაფერი ზომები, როცა რუსეთში გადასახლებულმა დავითაშვილმა წარმოგზავნა ძველ გავაზში ეპისტოლე (ერთი ამისთანა, მგონი, თქვენც მიიღეთ მისგან), სადაც იგი რამდენიმე ადგილობრივ შეგნებულ პირს ლანძღვა-გინებით იხსენიებდა და სიკვდილითაც კი ემუქრებოდა მათ. მაშასადამე, ჩემი მოქალაქეობრივი მოვალეობა იყო ეს გამეზიარებინა საზოგადოებისთვის, რათა ხელი შემეშალა ხსენებულ პირების დაბრუნებისთვის, რაც საფრთხეს წარმოადგენდა რამდენიმე შეგნებულ პირისთვის, რომელთაც მათ გადასახლებაში მიიღეს მხურვალე მონაწილეობა. ბატონო დავით! თქვენი მოვალეობაა, როგორც საზოგადოების მიერ არჩეული პირი, ემსახუროთ საზოგადოებას და მის კულტურულ დაწესებულებებს, როგორც თქვენც ბრძანებთ. მე, როგორც ურწმუნო თომა, არ ვუჯერებ თქვენ სიტყვებს, რადგან სინამდვილე სულ სხვაა. ამის დამამტკიცებელია ამ ზამთრის ძველ გავაზში მამასახლისის არჩევნების ჩაშლა: თქვენ, მიუხედავად უმრავლესობის სურვილისა, გინდოდათ აგერჩევინებინათ თქვენი თავი, რაშიდაც ბევრს შეეცადეთ. ისიც ხომ კარგად იცით, რომ ამის გამო მომრიგებელმა შუამავალმა მოგცათ წინადადება ყრილობისთვის თავი დაგენებებინათ, რათა მას თავისუფლად გამოეთქვა თვისი სურვილი. სურვილი მისი თქვენი სასარგებლო არ გამოდგა, რის შემდეგაც არჩევნები ჩაშლილად გამოაცხადეს და საწყალ საზოგადოებას ეზზაუციითაც კი დაემუქრეთ: ხალხი თავის ერთგულ მოსამსახურეებს ასე უწყალოთ არ ექცევა!

**ძველ-გავაზელი.**

მ. რ. გთხოვთ უმორჩილესად თქვენს გაზეთში გამოაცხადოთ შემდეგი: ჩემი ერთი წლით ციხეში ყოფნის დროს, ჩემდა სამწუხაროდ, დავკარგე თეთრად გადაწერილი და დასაბეჭდად გამზადებული ტურგენევის: „მამები და შვილები", რომელიც ორ მოზრდილ რვეულშია მოთავსებული, და მასთან „რუდინი"- სულ დაკარგულია სამი რვეული. უმორჩილესად ვითხოვ თუ ვინმემ ნახოს სადმე ეს რვეულები, თუ ზემო ფურცელი მოხეულიც იყოს, შემთხვევით,—სადაც აღნიშნულია, თუ ვის ეკუთვნის ის თარგმანი, იცოდნენ, რომ ჩემია და გადმომცენ, რისთვისაც დიდ მადლობას შევწირავ.—ვითხოვ ეს ყველა გაზეთებმა გადაბეჭდონ.

**ნატალია გუგაური.**


# განცხადებანი

## დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეების გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ნ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**უ. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საშვილო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მუღანი:** 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აველტიხანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

**ქალ. ექიმ. ბ. ს. ზილბერშაცი:** 12 ნახ.—1 ს. საშვ., ქალ. და ბავშვებისა.

**გ. ი. ბურგენოვი:** 1—1 ნახ. ს. საშვილო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. მ. კარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ ს. შინაგან- და საბავშვო.

**ბ. გ. აგახაროვი:** 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. ბ. ს. ზილბერშაცი:** 6—6 ნახ. ს. საშვ., ქალ. და ბავშ. ავად.

**მ. გ. აველტიხანცი:** 6—7 საათ.

11—12 ს. **606** წამლობა, კონსულტაციურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მეთანხმებით სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ნ. ა. ნავასარდიანი.

(ჯ. (1168—194)

მუხრანის ხიდთან
## სამკურნალო
მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

**ა. ა. გაზაზოვი**—შინაგან სნეულებანი, დილის 10—11 ს.-დე.

**გ. მ. გოგობერიძე**—შინაგან და ბავშვებ., დილის 11—12 ს.-დე.

**მ. კ. იოსელიანი**—დედათა სნეულებ., დილის 10-ნახევარიდან 11 ს.

**მ. ლ. შტრეიხერი**—ყელისა და ყურისა, 11 ნახ.—12 ნახ. ს.

**ლ. გ. ხაუგარელიძე**—შინაგან და ბავშვებ., 12 ნახ.—1 ს.-დე.

**იაშვილი**—შინაგან, 1—2 ს.-დე.

**გ. ბ. მელქონიანი**—ქირურგ., 12—1 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგ. 11—12 ს.-დე.

**გ. ა. ახვერდოვი**—შინაგან, 12 ნახ. —1 ნახ. ს.-დე.

**მ. დ. კილოხანიძე**—ქირურგ. 12 ნახ. —1 ს.-დე.

ქიმ ში—კბილისა, 8—10 ს.-დე.

**მ. გ. მიკირტუმოვი**—დედათა სნეულებანი და საშვილო, 1 ნახ.—2 ს.-დე.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata) **„606"-ით.**

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმებისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

№ 646. 100—50 (0—1003—182

# სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის საწოლებით.

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

**ბლუმენთალი**—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დილის 11—12 საათამდე.

**ვ. ვ. გნუკოვი**—ქირურგიულ სნეულ.—ნაშუად. 1—2 საათამდე.

**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგან, ნერვებისა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროთერაპია დილის 11—12 საათამდე.

**კამინსკი გ. პ.**—ქირურგიული სნეულ დილის 11—12 საათამდე.

**მალქაიანი გ. ნ**—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმ. დილ. $11^1/_2$—$12^1/_2$ სათ.

**ა. დ. კალმიკოვი-ა-გნუკოვისა**—დედათა ავადმყ.—დილ. 1—12 ს. სამკურნალოში ელექტრონით და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

**წამლობა „606"-ით.**

(100—1615—1)

ქ. თელავში
ისყიდება პირველად გამოსული
ქართულ ენაზე
## ჭრა-კერვის
სახელმძღვანელო
თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით.
ახალი მეთოდი.

აქვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

**სოფიო ი. სიმონოვის მიერ.**

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софiи Iосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ.

(100—1140—91)

გამოცდილმა
## მასწავლებელმა
ჩვეულებრივად წელსაც განაგრძელა მეცადინეობა—სხვ. ქალვაჟებთან.—მიღებულია პირობებით: გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხზე. საშუალო ინსტიტუტისთვის. სამხედრო და ს ტეხნიკო სასწავლებლისთვის.

**აგრეთვე განაგრძელებს მიღებას:** სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა სასწავლებლისათვის, სამოქალაქო და სატეხნიკო სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან მასწავლებლობის ხარისხზე, ყველა კლასის ჩინისთვის. ღებულობს ანბანის უცოდინარ ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები—მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

**იღებს პირობებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8-საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც, **პანსიონში**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1 входъ съ подъѣзда нижнiй звонокъ спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. N 38. (недалеко отъ памяти. Воронцову).

(თ. 1084.37)

ახენტი
## მ. ა. ბაქრაძე

ღებულობს განცხადებებს როგორც ადგილობრივ, ისე სატახტო ქალაქის გაზეთებისათვის. განცხადების შემკრებ აგენტობა ლ. ე. მეტცლისა და ამხ და სააქციონერო საზოგ. „ანონსისა" რკინის გზის სადგურებზე, ვაგონზე და ტრამვაებზე პლაკარტების გაკვრის საქმეში.

**მისამართი:** ტფილისი, სასტუმრო „იმპერიალი", კიროჩნისა და მიხეილ ს პროსპ. კუთხე; ტელეფონი—N 925.

მიღება ყოველ დღე დილის 8—9 ს და საღამოს 4—$5^1/_2$ საათამდე



## საათების საწყობი
## იულიუს გენე
## Юлiусъ Гене

სასახლის ქ. თავად-აზნაურთა სახლი
აუარებელი რიცხვი საათებისა ოქროსი ვერცხლისა და ფოლადისა, საათები შვეიცარიის ქარხნებისა: **ზენიტი, ლონჟინი, ომეგა ზოლოტოი და სხვ.** და სხვანი.

მუდმივ მოგვეპოვება აუარებელი კედლისა და დასადგმელი საათები, ბუდილნიკები, ძეწკვები ოქროსი, ვერცხლისა, ფოლადისა და ოქრო-გადაკრული.

**საათების შესაკეთებლად საკუთარი სახელოსნო გვაქვს.**

**ფასები ზომიერზე ზომიერია.**

(12—1550 12)

## ღვინით მოვაჭრე
ამხ. **„კომეტა"**
ლორის-მელიქოვის ქ., პუშკინის ბაღის პირდაპირ, ს. ზუბალაშვილისა, № 6.
მიიღეთ კახეთის საუკეთესო ზვრების
**ღვინო,** ფასები ყველასთვის ხელმისაწვდომია. (20.1560 10)

სამშობიარო თავშესაფარი
## მ. ი. კრემერ

ნიკოლოზის ქუჩა, № 47. ორსულ და მშობიარე მანდილოსანთა მიღება ყოველ დროს, დღისით და ღამით. მიიღებიან ქალთა სნეულებისა და საშვილო საქმისათვის. გასინჯვა და შემოწმება ძიძებისა და მოახლეებისა; ყვავილს უცრის ყოველ დღე ნაშუადღევის 1—2 საათამდე თავშესაფარის გამგე დოქტორი-მედიცინისა.

(26—913—21) ი. გ. კალაძკაროვი.

## თევზეულობა

**ზუთხი** (ოსეტრინა), **თართი** (სევრიუგა), **ორაგული, ცოცხალი** (ლურჯა), **ლოქო, იშხანი, ფარგა** (სუდაკი), **შანარი** (საზანი), ყველანაირი ხიზილალა. ბოჩკის კარგი ხიზილალა ღირს 1 მ. 60 კაპ. სალდათის ბაზარი, თ. მუხრანსკის სახლის ეზო.

## ს. ხუროშვილი.

ტელ. № 496. (8—1611—2)

# გამოვიდა და იყიდება
# თხზულებანი:

| | | |
|---|---|---|
| **არჩილ ჯორჯაძისა:** | წ. I. „ეროვნულ პრობლემის გარშემო", | ფ. 75 კ. |
| „ „ | წ. II. „ჩვენი საზოგადოებრივება". . . | ფ. 80 კ. |
| „ „ | წ. III. „ნააზრევი" . . . . . . . . . | ფ. 65 კ. |
| „ „ | წ. IV. წერილები „ცნობის-ფურცელ-მოამბიდან", 1901—1902 წ. . . . . | ფ. 85 კ. |
| **Bâto ს-ისა:** | „ერი და კატობრიობა" . . . . . . | ფ. 1 მ. 20 კ. |
| **მ. ყიფიანისა:** | „სამეგრელოს მთავარი ლევან", ისტ. დრამა | ფ. 40 კ. |
| **ნ. შიუკაშვილისა:** | „მეგობრობა", 4 მოქმ. დრამა . . . . . | ფ. 30 კ. |

ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ქ. შ. წ. ს კ. გ. წიგნის მაღაზიაში, ტფილისში და ქუთაისში კვიცარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.

## ტფილისის ქალაქის
## გამგეობა

მოაგონებს ქალაქის წყალსადენის მოაბონიმენტეთ, რომ ყინვისაგან გაფუჭებულ წყალ-საზომის შეკეთება მოაბონიმენტეთა ხარჯით ხდება. ამისათვის გამგეობა სთხოვს მათ, სათანადო ზომები მიიღონ, რომ წყალ-საზომი არ გაეყინოთ.

(1—1614—1)




(40 1465—33)

დაიბეჭდა და იყიდება
## კ. თავართქილაძის
შედგენილი და გამოცემული საიუბილეო
**40 კაპ.** ## ქედლის კალენდარი **40 კაპ.**

ეს კალენდარი თამარ მეფის გარდაცვალებიდან 700 წლის თავზე პატივსაცემად არის შედგენილი და დიდად განსხვავდება, როგორც წარსულ წლების, ისე სხვის გამოცემულ კალენდრებისაგან. ავსებულია სხვა და სხვა სამი-ოთხი სასარგებლო ცნობებით სამეცნიერო, სალიტერატურო, სამეურნეო და სხვა მრავალ წერილებით და დასურათებულია მრავალი მოღვაწეების სურათებით.

**იბეჭდება და მალე იქნება „საყოველთაო კალენდარი"** ამ კალენდარში სხვა მრავალ სასარგებლო ცნობებს გარდა არის დაბეჭდილი მთელი საზღვარგარეთის და სამეფოების გეოგრაფიული მდებარეობა, პოლიტიკური და ეკონომიური მართვა-გამგეობა და მართვა-გამგეობის სხვა და სხვა წეს-წყობილება. ფასი კი 20 კაპ. ყველა ჩვენი კალენდრები არის შედგენილი ქართველთა, კათოლიკეთა, გრიგორიანთა მაჰმადიანთა და ებრაელთათვის. უმთავრესი საწყობი ტფილისში, მიხეილის ქუჩა № 5. სტამბა „ნადეჟდა" კ. თავართქილაძისა. (2—963—1)

## „სორაპანის" გამოცემა.
დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ
# კედლის კალენდარი 1912 წლისა,
## შედგენილი გრიგოლ ჩარკვიანის მიერ.

კალენდარში სხვა და სხვა სასარგებლო ცნობათა გარდა მოთავსებულია მრავალი სურათები ჩვენი საზოგადო მოღვაწეებისა. კალენდრის კარდონი დაბეჭდილია სხვა და სხვანაირი ფერადის სადებავებით ლიტოგრაფიაში ხუროთ და ლამაზად შეკრულია თუნუქით, რომ ახლავს დროს არ დაიხიოს. ✦ ფასი კი ისევ ძველებურია 40 კაპ. ✦
დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ „სახალხო კალენდარი" მ. გაჩეჩილაძის შედგენილი. ფასი 20 კ. პარტიობით მყიდველებს დაეთმობათ პროცენტები. ადრესი: Тифлисъ. Типографiя „Сорапань", М. Гачечиладзе. (20.1594.7)

## კ. ოგანიანცის მაღაზიაში ვორონცოვის ძეგლთან
მხოლოდ 10 დღის განმავლობაში
ესე იგი 1, 2, 3, 5, 6, 7, 8, 9, 10 და 12 დეკემბერს.
## დანიშნულია არაჩვეულებრივი იაფი ვაჭრობა
# ფეხსამოსისა

მამაკაცებისა, ქალებისა და ბავშვებისა, რუსეთისა და საზღვარგარეთულ ქარხნებიდან.
მაღაზიის ფანჯრებში გამოფენილია საქონლის ნიმუშები, საოცარ იაფ ფასების აღნიშვნით.
(1—1617—1) აუარებელი არჩევა ყოველგვარ საქონლისა. კ. ოგანიანცი.


სტამბა „სორაპანი", ძალათოვის კუნძული.
რედაქტორ-გამომცემელი ნ. ჟურდულაშვილი.